პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პროგრესი

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომისა და მეზობელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
გამოცემის 31 წელი

АВАНГАРДИ Орган Цхакаевского райкома КП Грузии и Райсовета депутатов трудящихся

№ 29 (2.423) ოთხშაბათი. 7 მარტი. 1956 წ. ფ. 15 კ.

ქალთა საერთაშორისო დღე

ხალხ მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს—8 მარტს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები წელს ქალთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ ისეთ ვითარებაში, როცა გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანათა განხორციელებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ოქტომბრიობის ისტორიაში პირველად ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დააკანონა ქალთა თანასწორუფლებიანობა.

ქალი უდიდეს როლს ასრულებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. საბჭოთა კონსტიტუციაში ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ქალისათვის მამაკაცთან თანასწორი უფლების მინიჭება სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყველა ცხოვრების დარგში.

საბჭოთა ქალებმა და ქალიშვილებმა ყოველთვ-ს ისახელეს თავი შრომაში, სწავლაში, ბრძოლაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, დიდი სამამულო ომის ისტორიაში არაერთმა ქალმა ჩასწერა გმირული შრომისა და ბრძოლის ფურცლები.

ჩვენი ქვეყნის ქალები დიდ როლს ასრულებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში, თავდადებით იბრძვიან პარტიისა და მთავრობის მიერ ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ისინი ფლობენ ურთულეს პროფესიებს, ხართავენ ტრაქტორებს, კომბაინებს, ორთქლმავლებს, ფეიერფრინავებს, არიან სოციალისტური შეჯიბრების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის გაჩაღებული შრომის ინიციატორნი. უდიდეს მუშაობას ეწევიან კოლმეურნე ქალები. უხვი მოსავლის მიღებისათვის. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მომუშავე 2.270-ზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება; მათ შორის 200-ზე მეტი ქართველი ქალია.

ქალები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია 300-მდე ქალი, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოსი—2 ათასზე მეტი, ხოლო ადგილობრივი საბჭოებისა—ნახევარ მილიონზე მეტი.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში. 2 მილიონ 700 ათასზე მეტი ქალი მუშაობს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევ, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ბევრი საბჭოთა ქალი გახდა მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატი.

ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს სახელოვანი წარმატებებით აღნიშნავენ ცხაკაიას რაიონის მშრომელი ქალები. რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ქალები თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ გეგმიურ დავალებათა შესრულებას. სოციალისტური შრომის გმირების ვ. ღვინჯილიას, თ. ზარანდიას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატის ტ. ტყებუჩავას და სხვათა სახელები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო რაიონში, არამედ მთელს რესპუბლიკაში.

ჩვენი ქვეყნის ქალები, დარაზმულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, ყველაფერ იქნებიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლთა რიგებში.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲑᲠᲝᲛᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ—ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

სახელგამოჩენილ ქართულ ენაზე ბრწყინვალედ გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სალენინგრადოში მოხსენება პარტიის მე-20 ყრილობას.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲐᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ

ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲩᲐᲚᲓᲔᲑᲐ

სკკპ მე-20 ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ამ ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია სოფელ ხორშის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებში,— განაცხადა მიტინგზე № 4 ბრიგადის ბრიგადირმა ს. ჭითავამ,—ნათლად არის ნაჩვენები საბჭოთა ხალხის შესანიშნავი მიღწევები, მოცემულია დიადი პროგრამა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მე პირობას ვაძლევ დედასამშობლოს თავდადებული შრომით უზრუნველყოფ მიმდინარე წელს 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ტონისა, ყოველგვარი გეგმობრივი დავალებების გადაჭარბებით შესრულება და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ № 1 ბრიგადას.

—ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია მარცვლეულის წარმოების გადიდება 11 მილიარდ ფუთამდე. ამ დიდი ამოცანის გადაჭრაში ჩვენ, კოლმეურნეები, სერიოზულ წვლილს შევიტანთ. — განაცხადეს მოწინავე კოლმეურნეებმა ტ. სანაიამ და ი. ჭითავამ. მათ ვალდებულება აიღეს მიმდინარე წელს მათზე გაპიროვნებული თითო ჰექტარი სიმინდის ფართობიდან მიიღონ თვითეულმა 50 ცენტნერი მარცვალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა.

—გული სიამაყის გრძნობით ივსება, როცა ეცნობი პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებებს,—განაცხადა მიტინგზე № 1 ბრიგადის № 3 რგოლის მერგოლურმა ვ. გაბეჩავამ.—ვიღებ ვალდებულებას მიმდინარე წელს მოვკრიფო და სახელმწიფოს ჩავაბარო 25 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად რგოლზე გეგმით დაყვანილი 17,5 ტონისა და შეჯიბრებაში ვიწვევ ამავე ბრიგადის № 3 რგოლს.

ტრიბუნაზეა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. დ. ჭუბაბრია. სკკპ მე 20 ყრილობა.—თქვა მან,—უდიდესი მოვლენაა საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. ჩვენი კოლმეურნეობა სათანადო წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელების საქმეში. პირობას ვაძლევთ სამშობლოს მიმდინარე წელს მოვკრიფოთ და ჩავაბაროთ 375 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ავიყვანოთ 20 ცენტნერამდე. დიდი გადაჭარბებით შევასრულებთ სოფლ. ლობიოს მოსავლიანობის და ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმებს, მეცხოველეობას გადავაქცევთ შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ. წელს ერთ საფურაქე ძროხიდან მივიღებთ 900 კილოგრამ რძეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 კილოგრამისა, გადაჭრით ვავაუმჯობესებთ მდგომარეობას მეღორეობის ფერმებში. თითო დედაღორიდან მივიღებთ 14 საქმიან გოჭს, თითო ფუტკრის ოჯახიდან— 12 კილოგრამ სასაქონლო თაფლს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 კილოგრამისა, კოლმეურნეობის ფულად შემოსავალს გეგმაზე ზევით გავზრდით 400 ათასი მანეთის რაოდენობით. ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სოფელ ხანის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ვ. პარკაიამ, კ. ხუნჯუამ, ო. გუგუნავამ, ვ. შარტავამ, ა. ბებიამ, ფ. მირცხულავამ, ვ. ჭითავამ, ბ. დადიანმა, კ. გაბეჩავამ, ნ. ბებიამ და სხვებმა, რომლებმაც იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ მათს მიერ აღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ᲓᲘᲐᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თეკლათის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, დიდი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით აღვსილნი შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა პარტიის მე-20 ყრილობის მუშაობის შედეგებს. მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ა. ძაძამია.

—პარტიის მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებანი,— განაცხადა მიტინგზე სოციალისტური შრომის გმირმა, მერგოლურმა ბ. გვიჩიამ,—მთელ საბჭოთა ხალხს აძლევენ შემდგომი წინსვლის დიად პერსპექტივებს და უნერგავენ მათ გამარჯვებისადმი ურყევ რწმენას. ჩვენ, სოფლის მეურნეობის მუშაკები, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე და წარმატებით განხორციელებისათვის. ვიღებ ვალდებულებას ჩემს რგოლზე მოცემული ფართობის თვითეული ჰექტარიდან მოვიყვანოთ 30 ცენტნერი სიმინდი, ხოლო პირადად ჩემზე გაპიროვნებული ერთი ჰექტარიდან—60 ცენტნერი.

მერგოლურმა გ. გვარამიამ განაცხადა: ვალდებულებას ვიღებ ჩემი რგოლისადმი გაპიროვნებული ფართობის თვითეული ჰექტარიდან უზრუნველყოფ 30 ცენტნერი სიმინდის მიღება.

მიტინგზე კოლმეურნეობის წევრებმა ვალდებულება იკისრეს: არ დაუშვან ჩამორჩენა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ყოველი ღონისძიებით უზრუნველჰყონ სიმინდის მოსავლიანობის, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის, აგრეთვე ფულადი შემოსავლის სახელმწიფო გეგმების აუცილებელი შესრულება.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲗᲐ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უდიდესი პოლიტიკური აქტივობითა და მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ნდობის გრძნობით ჩატარდა სოფელ თეკლათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი პარტიის მე-20 ყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი.

ისტორიული მე 20 ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალი საგმირო საქმეებისათვის აღავსებენ ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელებს, — განაცხადა მიტინგზე კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ბ. ლაშქარავამ.— მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის მე 20 ყრილობის დირექტივების განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს მშრომელთა მატერიალურ და კულტურულ დონეს. ჩვენი ვალია თავდადებული მუშაობით გარკვეული წვლილი შევიტანოთ პარტიის მიერ დასახულ დიად საქმეთა განხორციელებაში.

სიტყვას იღებს № 1 ბრიგადის ბრიგადირი ნ. ხუხია. იგი ამბობს: — სოფლის მეურნეობის მშრომელები დიდი ამოცანების წინაშე დგანან. ყრილობის დირექტივებში ნათლადაა მოცემული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შემდგომი მძლავრი ზრდა. ყოველივე ეს ჩვენ გვავალებს ვიმუშაოთ მეტი ენერგიითა და მონდომებით, ვიდრე ვმუშაობდით. პირობას ვიძლევი ჩემს ბრიგადაზე გაპიროვნებული ყოველგვარი სამუშაოები შევასრულო დროულად და მაღალხარისხოვნად.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ი. ივანიძე, გ. რეკვავა და სხვ. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის მე-20 ყრილობის მუშაობა და აიღეს ვალდებულება დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ კოლმეურნეობის წინაშე დასახული ყველა სახის გეგმობრივი დავალებანი და უზრუნველყონ ამ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელება.

ქალები—ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელნი

★

პატარების გულების მესაიდუმლე

პატარა ლალის ძლიერ უყვარს დედოფალა. იგი მას ყოველ დილით ღვარცხნის თმას, უკეთებს ბანდებს, კოხტად რომ გამოაწყობს, ეალერსება და თავისი ნაფიბარით გულგამარეული სიამით იცინის, იცინის, კვდება სიცილით. პატარა თამაზი მუყაოს ჩიტებისგან ჩიტებს აკეთებს, უკანასკნელად, როცა ტანს ფრთებს გამოუსვამს, ცვრებზე შედგება და ისე მარჯვედ გაასრიალებს მას, რომ ჩიტი ჯერ ჰერამდის აიწევს, ბოლოს კი მოსხლეტილად ეშვება იატაკზე. თამაზი კი მანამდე სულ ცვრებზეა. ხელები მაღლა აქვს აწეული, იცინის, იცინის...

ვინ ეყოლას შეუძლია გაიგოს ნორჩების სიხარული? არაც შეგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან რას იტყვენ პატარების გულები, იციან რა აკლიათ, რა აბარებს მათ.

—ლალის ასე ჰგონია, მისი კოხტა დედოფალა საცაა ცოცხალ ამოიდგამს და მისგან დაიწყებს ტიტინს, ჩაეხუტება, ლეკვის სტრიქონებს. თამაზი კი თავის კოხტაში წარმოიდგენს თითქოს მისმა ჩიტმა გადაეფრინა მაღალ სანლებს, ხის კენწეროებს, ამიტომ სიამაყით ეკონებათ, ეკონებათ პატარებს. ჰოდა ჩვენც უნდა მივეცეთ ამაში, ვეთანაგრძნოთ და დავეხმაროთ. ამას მოითხოვს ბავშვის ბუნება. — ამბობს ხანაგში ბალის აღმზრდელი მასწავლებელი მარო კვანტალიანი.

25 წელია იგი სიყვარულით ეგსაბურება მომავალი თაობის აღმზრდის კეთილშობილურ საქმეს. პირველად მარომ სოფელ ლეძაანის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, შემდეგ ნოსირში მუშაობდა საბავშვო ბალის გამგედ, ბოლო შემდეგ, 20 წელია მუშაობს ქ. ცხაკაიას პირველ საბავშვო ბალში.

—ბავშვის აღზრდა დაბადებიდან იწყება,—თქვა გამოცდილმა პედაგოგმა,—პირველ დღეებიდანვე სწორად უნდა მოეწყოს მისი ფიზიკური და სულიერი ზრდა. ჯერ ოჯახში, ბოლო შემდეგ, როცა ბავშვი საბავშვო ბალს ეწევა, აქ, ნაირნაირი სათამაშოების გარემოში, იზრდება, ფრთეებს ისხამს მისი ფანტაზია.

ახლა მარო კვანტალიანი უმცროს ჯგუფს ასწავლის. ეყვართ პატარებს დიდი ლიზიას, ლუიზა ესყანას, ნანი ბერაიას, მანანა საბახტარიშვილს, გოგა ჯანტურიას, ბერად ჭითაშვილს თავიანთი მასწავლებელი, რადგანაც იგი ყოველთვის უყვებს მათ.

ბავშვს პირველი შთაბეჭდილებანი დიდ ხანს რჩება ზრდაში. უეჭველად ბავშვობის დროინდელი ბევრი კარგი რამ ახსოვს ინკინერ მცინარა ბერაიას, რომელიც ახლა დონბასში მუშაობს და იქაც არ ივიწყებს თავის პირველ მასწავლებელს მარო კვანტალიანს. იგი ასწავლიდა მას ბალში, მცინარა გულთბილად ეწერებოდა წერილებს ყოფილ მარო-მასწავლებელს.

ამჟამად ბევრიან მარო კვანტალიანთან მისი ყოფილი აღსაზრდელები და სიხარულით იგონებენ ბავშვობის პერიოდს. გამოცდილ პედაგოგს ახარებს, რომ მისი—საბჭოთა ქალის აღზრდილები ახლა თავიანთი შრომობენ სხვადასხვა ფრონტებზე ჩვენი დიდი

ოცდაბუთი წელია პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობს ალექსანდრა ჯობავა. ქ. ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სადაც ახლა იგი ქიმიას ასწავლის, მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ახმარს სოფლის მეურნეობის მომავალ სპეციალისტთა აღზრდას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მასწავლებელი ალექსანდრა ჯობავა (მარცხნიდან პირველი) და ლაბორანტი ნათელა ჩარგაზია (მარცხნიდან მეოთხე) მოსწავლეებთან ატარებენ ცდას ტექნიკუმის ქიმიის კაბინეტში.

ფოტო გ. ათაბეგოვისა.

დეპუტატი ქალი

დიდა გაზაფხული. ცხრათვალა მზემ ცხოველმყოფელი სხივები უხვად მოფინა დედამიწას. გამოიღვიძა ბუნებამ. აყლუტულდნენ ჩიტუნები. ხაკალმეურნეო ფერთობებზე ადუღდა ხიოცხლე, გაიხმა შრომის ხალხიანი ხმლერები... მარადმწვანე ჩაის პლანტაციებში წუთითაც არ წყდება მუშაობა, კოლმეურნენი ხაფუძველს უყრიან უხვ მოსავალს...

ხანამუშოდაა მოვლილი სოფელ ზანის ყდანოვის ხაბელობის კოლმეურნეობის წევრის, დეპუტატ ტატიანა ტყებუჩავის ნაკვეთი, და ამაში არაფერია გასაკვირი. მას ხომ წლების განმავლობაში ჩაის უხვი მოსავალი მოუყვია, ბოლო ყოველივე ეს კი ნაკვეთის ხათანადო დამუშავებისა და მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიერ შემუშავებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის მაღალხარისხოვანად განხორციელების გარეშე შეუძლებელია! გასულ წელს მან გაპიროვნებული 0,5 ემპტარი პლანტაციიდან მიიღო 10 ტონა ჩაის ფოთოლი.

ჩვენს კითხვაზე თუ მიმდინარე წელს რა გეგმები აქვს დახატული, მან გვიპასუხა:— მშობლიური კომუნისტური პარტიის მე 20 ყრილობის გადწყვეტილებებმა კიდევ უფრო აღმაფრთოვანა და ახალი ენერგია შემმატა. ხულითა და გულით მინდა ამ დიდი საქმის განხორციელებაში ჩემი წვლილიც ერიოს. გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარ ფერთობზე უკვე ჩავატარე ხაგაზაფხულო ხამუშაოები აგროწესების შესატაბ გატარებით,—შემდეგ გაიღიმა და დაუმატა:—განზრახული მაქვს მიმდინარე წელს მოვკრიფო და ხაბელმწიფოს ჩავაბარო 11 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

Ვ. ᲐᲒᲨᲘᲚᲐᲕᲐ.

მოვქსოვ მეჯსა და უკეთესს

წელს, იანვარსა და თებერვალში ასობით მეტრი ნაქსოვი გამოვეშვი გეგმის გადამეტებით. ჩემს გვერდით შრომობენ ამალგაბრდები ვ. კირეხალია, მ. შეროზია, რომლებიც აგრეთვე წარმატებით მუშაობენ საქსოვ დახგებზე.

გამოვეშვა რაც შეიძლება მეტი და უკეთესი ხარისხის ქსოვილი, ამით ჩემი წვლილი შევიტანო პარტიის მე 20 ყრილობის მიერ დასახული დიდი ამოცანების განხორციელებაში, ვიმუშავებ ისე, როგორც ლენინური კომკავშირის წევრს შეეფერება.

თალიკო ᲞᲐᲜᲢᲣᲩᲘᲐ.

საყვარელო ქართველის დედავ!

მოგბილოცავ გრძნობით ამ დღეს
საყვარელო ქართველის დედავ,
დღეს სამშობლოს ყველა ქალთან
შენს მხიარულ სახეს ვხედავ.

შენ ხომ შვილებს ჩაუნერგე
მართალი და მტკიცე გული,
მამაცობა, მეგობარობა
და სამშობლოს სიყვარული.

თუ ოდესმე მტრების რისხვა
დაიგრგვინებს ცაზე მეხად,—
შენს გმირობას რა გაუძლებს
საყვარელო ქართველის დედავ!

ᲚᲣᲘᲖᲐ ᲜᲘᲙᲣᲠᲐᲫᲔ,
ნიხორის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

დახლის მოწინავე მუშაკი

დახლში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს კომუნისტ ქალს ტატიანა თევზაიას. მუშაობაში მონდომება, მომხმარებლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება—აი, რა ახასიათებს მას, როგორც ვაჭრობის დარგის მოწინავე მუშაკს.

საქვაჭრობის ცხაკაიას განყოფილების სასურსათო მაღაზიაში, სადაც ახლა იგი მუშაობს, იყიდება მრავალი სახის პროდუქტი: ცხიმეული, საკონდიტრო ნაწარმი, თევზეული, კონსერვები, სასმელები. მაღაზიაში მომხმარებლის ყურადღებას იპყრობს თაროებზე საქონლის კოხტად დალაგება, სანიმუშო სისუფთავე.

ტ. თევზაია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინების საქმეს. სისტემატურად იმარაგებს ისეთ პროდუქტებს, რომლებსაც მომხმარებლები საჭიროებენ. მაღაზიაში დაცულია ჯგუფების მიხედვით საქონლის დალაგების წესი. ყველა საქონელს თვალსაჩინო ადგილზე აქვს ფასების მაჩვენებელი წარწერები.

კარგადაა მოწყობილი ვიტრინა. აქ მოთავსებულია პროდუქტების სავიტრინო ფოტოები. ეს ხელს უწყობს მომხმარებელს სასურველი პროდუქტების ადვილად მიგნებაში. პროდუქტების შესახვევი ქაღალდები სასწორთან ახლოს, ხელმისაწვდომ ადგილზეა დაწყობილი. ეს აჩქარებს მუშაობას.

დახლის მოწინავე მუშაკი თავდადებით შრომობს საქონელბრუნვის დავალების წარმატებით შესრულებისათვის. თებერვლის თვის გეგმის გადამეტებით მან რამდენიმე ათასი მანეთის საქონელი ივაჭრა. კარგი მუშაობისათვის მას არაერთხელ დაუმსახურებია ხელმძღვანელთა მადლობა, ჯილდო.

ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ